



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 4

2013 წლის 14 იანვარი
ქალაქი ხაშური

„საქართველოს მთავრობის 2012 წლის 27 ივლისის N1453 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 2012 წელში აუთვისებელი სახსრების ნაშთის გამოყენების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 9 იანვრის N2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის 2012 წლის 27 ივლისის N1453 განკარგულების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების თავისუფალი (აუთვისებელი) ნაშთის 211 392 ლარის ფარგლებში განსახორციელებელი ცალკეული ღონისძიებების მოცულობა და სამუშაოთა ნუსხა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) ქალაქ ხაშურში კოსტავას ქ. #32-ში (18) ხანძრის შედეგად დაზიანებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავისა და გარე ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება - 154 743 ლარი;

ბ) ქალაქ ხაშურში, რუსთაველის ქ. #38-ში მდებარე „ყოფილი საავადმყოფოს“ შენობის გაზიფიცირების სამუშაოების ღირებულება - 54 649 ლარი;

გ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ღირებულება - 2 000 ლარი;

2. განკარგულება შესასრულებლად გადაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე

